



სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5002538823
26/04/2023



5002538823

ა(ა) იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და
კეთილმოწყობის სამმართველოს დირექტორს ბატონ
აკაკი ბერიძეს

(საქართველო, ბათუმი ტბელ აბუსერიძის ქ. N 21 ბ. 9)

ბატონო აკაკი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N90-1423060736
მომართვის (ბიუროს 2023 წლის 6 მარტის რეგისტრაციის N1001641923) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო
ექსპერტიზის N002672423 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 09 ფურცლად:

პატივისცემით,

მამუკა ჯანგულაშვილი
ბიუროს უფროსი



5002538823

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი

თარიღი 26.04.23.

(ხელმოწერა) ზა





002672423

ექსპერტის დასკვნა № 002672423

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმეორტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: ა(ა) იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: საქართველო, ბათუმი ტბელ აბუსერიძის ქ. N 21 ბ. 9

სახელი და გვარი: აკაკი ბერიძე

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

ალექსანდრე კაიფანჯიანი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს მოწვეული სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ დაადგინოთ, ქ.ბათუმში, მელიქიშვილის ქ.#8-ში მდებარე #4 საბავშვო ბაღის ტექნიკური მდგომარეობა, საფრთხის შემცველია თუ არა სიცოცხლისათვის შენობის არსებული სახით ექსპლუატაცია და გამაგრების შემთხვევაში რამდენად რენტაბელურია სამუშაოების ჩატარება.

შემოსვლის თარიღი: 06/03/2023 წ

გასვლის თარიღი: 26/04/2023 წ

დასკვნა

ქ.ბათუმში, მელიქიშვილის ქ.#8-ში მდებარე #4 საბავშვო ბაღის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა არადაზარალებულია. შენობა საჭიროებს საფუძვლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, შესაბამისი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით, რაც ჩვენი აზრით რენტაბელური იქნება, თუმცა საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების შემდგომ სამუშაოების ჩატარების რენტაბელურობის საკითხი შესაძლებელია გადაიხედოს. არსებული სახით საბავშვო ბაღის ექსპლუატაცია ამ დროისათვის საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, შენობას დროულად უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

ალექსანდრე კაიფანჯიანი

გამოკვლევა

ჩვენს მიერ ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ.ბათუმში, მელიქიშვილის ქ.#8-ში მდებარე #4 საბავშვო ბაღი, მისი ტექნიკური



002672423

ექსპერტის დასკვნა № 002672423

მდგომარეობის დადგენის მიზნით.

საკვლევი შენობა ოთხსართულიანია, უსარდაფო, აშენებულია 1937 წელს და განლაგებულია სწორ რელიეფზე (ფოტო 1-2). კონსტრუქციულად შენობა მზიდვედლებიანია. საძირკველი სავარაუდოთ ლენტური ტიპისაა, აშენებული მონოლითური ბეტონით ან ქვის წყობით. თავდაპირველად შენობა იყო ორსართულიანი, ხოლო 2008 წელს მასზე განხორციელდა დამატებით ორი სართულის დაშენება. პირველ ორ სართულზე არსებული მზიდი კედლები, სისქით 40-60 სმ, აშენებულია ტუფის ქვის წყობით, ხოლო დაშენებულ სართულებზე მზიდი კედლები ბეტონის ბლოკების წყობითაა ამოყვანილი. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. ქანობიანი სახურავი მოწყობილია ხის კონსტრუქციებითა და პროფილირებული თუნუქის ფენილით. ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2008 წელს განხორციელებული დაშენებისას არსებული კედლები და საძირკველი არ გამაგრებულა.

ვიზუალური დათვალიერებისას შენობაში დაფიქსირდა შემდეგი სახის დაზიანებები და ხარვეზები: ცალკეულ ზონებში, მზიდ კედლებსა და ტიხრებში არსებულ ღიობებთან გაჩენილი დახრილი ბზარები (ფოტო 5-9), რაც სავარაუდოთ გამოწვეულია ფუძე-საძირკვლის ჯდენითი დეფორმაციებით. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ჯდენითი დეფორმაციების პროგრესირებაზე დაკვირვების მიზნით, მიზანშეწონილია განხორციელდეს დაზიანებების მონიტორინგი, რისთვისაც არსებულ ბზარებზე უნდა დამონტაჟდეს თაბაშირის მანიშნები და გონივრული პერიოდის განმავლობაში (2-3 თვე) მიმდინარეობდეს მათზე დაკვირვება. მანიშნების დაზიანების შემთხვევაში საჭირო იქნება შენობის ფუძე-საძირკვლის გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში მისი გამაგრება, ხოლო მდგომარეობის სტაბილიზირების შემთხვევაში დაზიანებული ზონები ლოკალურად უნდა იქნას აღდგენილი; როგორც სახურავიდან, ასევე გარე კედლებიდან ხდება ატმოსფერული ნალექების ჩამოდინება, რის შედეგადაც აღნიშნული ზონებში არსებული კონსტრუქციები დანესტიანებულია (ფოტო 10-14); ქვედა სართულებზე, სართულშუა ხის გადახურვები ადგილობრივად დეფორმირებულია. მათ აღენიშნებათ ძლიერი მერხეობა, რაც მიუთითებს ხის კონსტრუქციების ძლიერ ფიზიკურ ცვეთაზე, რაც თავისმხრივ მათი ხანდაზმულობის შედეგია. არსებული დაზიანებებიდან გამომდინარე, შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. შენობა საჭიროებს საფუძვლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, შესაბამისი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით, რაც ჩვენი აზრით რენტაბელური იქნება, თუმცა საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების შემდგომ სამუშაოების ჩატარების რენტაბელობის საკითხი შესაძლებელია გადაიხედოს. არსებული სახით საბავშვო ბაღის ექსპლუატაცია ამ დროისათვის საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა მდგომარეობის დროულად უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოქმედი სეისმური ნორმების მოთხოვნებით, საბავშვო ბაღების სართულიანობა არ უნდა აღემატებოდეს 3 სართულს (პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“ მუხლი 6, პ. #2), რის გამოც მეოთხე სართულის ექსპლუატაცია საბავშვო ბაღის ფუნქციონირების თვალსაზრისით უნდა გაუქმდეს.


ამრიგად, ქ.ბათუმში, მელიქიშვილის ქ.#8-ში მდებარე #4 საბავშვო ბაღის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. შენობა საჭიროებს საფუძვლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, შესაბამისი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით, რაც ჩვენი აზრით რენტაბელური იქნება, თუმცა საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების შემდგომ სამუშაოების ჩატარების რენტაბელობის საკითხი შესაძლებელია გადაიხედოს. არსებული სახით საბავშვო ბაღის ექსპლუატაცია ამ დროისათვის საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, შენობას დროულად უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

ალექსანდრე კაიფანჯიანი 

გამოყენებული მასალები

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი



ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია





3002675823

მიღება-ჩაბარების აქტი № 3002675823


სსს

რეგიონი	თბილისი	დასრულების თარიღი	26/04/2023
---------	---------	-------------------	------------

დოკუმენტი:			
რეგისტრაციის ნომერი:	1001641923	მომსახურების ტიპი:	ჩვეულებრივი
რეგისტრაციის თარიღი:	06/03/2023	საქმის ნომერი:	
ხელშეკრულების ნომერი:		ხელშეკრულების თარიღი:	
შეთანხმების ნომერი:		შეთანხმების თარიღი:	
დასკვნის ნომერი:	002672423		

ექსპერტიზის დამკვეთი :	
სახელი და გვარი:	აკაკი ბერიძე
პირადი ნომერი:	61001072724
ორგანიზაცია:	ა(ა) იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
საიდენტიფიკაციო კოდი:	445532308
თანამდებობა:	დირექტორი
დოკუმენტის შემომტანი:	რევაზ ცხადაძე

შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 16.01.2023 N14. დადგენილების მიხედვით)	ობიექტების რაოდენობა	საექსპერტო მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე	თანხა
19004. - საექსპერტო კვლევითი მიზნებისათვის, ბიუროს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების და ტერიტორიული ორგანოების განთავსების მუნიციპალური საზღვრებიდან გასვლა	1	400	400
13006. - ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	1	1500	1500
			ჯამი: 1900.00
			საბოლოო ფასი: 1900.00


შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):	
ალექსანდრე კაიფანჯიანი	
სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს მოწვეული სპეციალისტი	

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი



(ხელმოწერა)

მიმღები პირი



გაცემის თარიღი



002672423

ექსპერტის დასკვნა № 002672423

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



002672423

ექსპერტის დასკვნა № 002672423



ფოტო 3



ფოტო 4




002672423

ექსპერტის დასკვნა № 002672423



ფოტო 5




ფოტო 6



002672423

ექსპერტის დასკვნა № 002672423



ფოტო 7




ფოტო 8



002672423

ექსპერტის დასკვნა № 002672423



ფოტო 11



ფოტო 12



002672423

ექსპერტის დასკვნა № 002672423



ფოტო 13



ფოტო 14